

ევროინსი

ევროჰოლდის წევრი
სადაზღვევო კომპანია



EUROINS

MEMBER OF EUROHOLD
INSURANCE COMPANY



ავტომობილური
დაზღვევის პირობები
№ EG/AUTO/RETAIL/26-V1

ავტოტრანსპორტის დაზღვევის ხელშეკრულება / პირობები

EG/AUTO/RETAIL/26-V1

დაზღვევის წინამდებარე პირობები შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და საკითხები, რომლებიც არ განისაზღვრება ამავე პირობებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

ტერმინთა განმარტება:

მზღვეველი - სს სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია.

დამზღვევი - პირი რომელთანაც ფორმდება დაზღვევის ხელშეკრულება და რომლის ვალდებულებასაც წარმოადგენს შესაბამისი სადაზღვევო პრემიის გადახდა.

მოსარგებლე - სადაზღვევო პოლისში დასახელებული ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას უფლებამოსილია მიიღოს შესაბამისი სადაზღვევო ანაზღაურება.

უფლებამოსილი მძღოლი - თუ შესაბამისი სადაზღვევო პოლისით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, არანაკლებ 18 (თვრამეტი) წლის, შესაბამისი კატეგორიის მოქმედი მართვის მოწმობის მქონე პირი, რომელიც პოლისის მიხედვით განსაზღვრულია როგორც უფლებამოსილი მძღოლი.

მესამე პირი - ნებისმიერი პირი, რომლის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას ზიანი მიადგა დაზღვეული ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის შედეგად, გარდა დაზღვეული ავტოტრანსპორტის მძღოლისა და მგზავრ(ებ)ისა.

სადაზღვევო განაცხადი - მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით, დამზღვევის მიერ შევსებული კითხვარი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას დასაზღვევი ავტოტრანსპორტის უფლებამოსილი მძღოლების და სხვა, მზღვეველისთვის საინტერესო გარემოებების შესახებ.

სადაზღვევო პოლისი - წინამდებარე პირობების საფუძველზე შექმნილი, დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია სადაზღვევო დაფარვის დეტალები და გაიცემა მატერიალური ან ელექტრონული ფორმით. სადაზღვევო პოლისსა და წინამდებარე დაზღვევის პირობებს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება სადაზღვევო პოლისს.

დაზღვევის ხელშეკრულება - მზღვეველსა და დამზღვევს შორის გაფორმებული დოკუმენტების ერთობლიობა, რომელიც შედგება სადაზღვევო განაცხადის, პოლისის, მისი დანართ(ებ)ისა და ხელშეკრულება / პირობებისგან.

სადაზღვევო პერიოდი - სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ავტოტრანსპორტი დაზღვეულია და დამდგარი შემთხვევები ექვემდებარება ანაზღაურებას.

დაზღვევის ტერიტორია - პოლისში მითითებული ტერიტორია, რომლის ფარგლებში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიც ექვემდებარება ანაზღაურებას.

სადაზღვევო პრემია - თანხა, რომელიც მითითებულია შესაბამის სადაზღვევო პოლისში და წარმოადგენს სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული დაზღვევის საფასურს.

გამომუშავებული სადაზღვევო პრემია - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისთვის, სადაზღვევო პერიოდის დასაწყისიდან ასეთ თარიღამდე განვლილი დროის მონაკვეთის შესაბამისი პრემიის ოდენობა. პრემიის გამომუშავება ხდება ყოველდღიურად.

გამომუშავებული სადაზღვევო პრემია - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისთვის, სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე დარჩენილი დროის მონაკვეთის შესაბამისი პრემიის ოდენობა. პრემიის გამომუშავება ხდება ყოველდღიურად.

სადაზღვევო შემთხვევა - დაზღვეული რისკის ხდომილების შედეგად დამდგარი შემთხვევა, რომლის შედეგად წარმოიშვება მზღვეველის ვალდებულება ანაზღაუროს ზარალი, დაზღვევის პირობების შესაბამისად.

საგზაო - სატრანსპორტო შემთხვევა - საავტომობილო გზაზე, ეზოში, ავტოფარეხში ავტოტრანსპორტის მოძრაობის შედეგად ან/და მონაწილეობით წარმოქმნილი მოვლენა, რომლის დროსაც დაშავდა ან დაიღუპა ადამიანი, დაზიანდა სატრანსპორტო საშუალება, ტვირთი, ნაგებობა.

ვანდალიზმი - დაზღვეული ავტოტრანსპორტის განზრახ დაზიანება ან განადგურება მესამე პირ(ებ)ის მიერ.

დაზღვეული ავტოტრანსპორტი - სადაზღვევო პოლისში მითითებული და დამზღვევის/მოსარგებლის მფლობელობაში არსებული ავტოტრანსპორტი.

ავტოტრანსპორტის ძარა - ავტოტრანსპორტის ძარა, მასზე დამონტაჟებული ქარხნული დეტალების, მოწყობილობების და აქსესუარების გათვალისწინებით (გარდა სათადარიგო ნაწილებისა).

არაქარხნული დეტალ(ებ)ი - ავტოტრანსპორტის ისეთი ნაწილები ან/და აქსესუარ(ებ)ი, რომელიც განსხვავდება ავტომობილის ქარხნული კომპლექტაციისგან **VIN კოდის/შასის ნომრის** შესაბამისად.

სადაზღვევო ანაზღაურება - თანხა, რომელიც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას გაიცემა მზღვეველის მიერ დამზღვევის, მოსარგებლის, დაზარალებულის ან მისი მემკვიდრის სასარგებლოდ.

სადაზღვევო თანხა / ანაზღაურების ჯამური ლიმიტი - სადაზღვევო პოლისში განსაზღვრული თანხა, ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა, რომლის ფარგლებშიც გაიცემა სადაზღვევო ანაზღაურება. სადაზღვევო ანაზღაურების ჯამური ლიმიტი განისაზღვრება შესაბამისი სექციების მიხედვით და მითითებულია სადაზღვევო პოლისში.

ანაზღაურების ლიმიტი - თანხა, რომლის ფარგლებშიც გაიცემა სადაზღვევო ანაზღაურება. ანაზღაურების ლიმიტი არ აღემატება დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების საბაზრო ღირებულებას და მცირდება სადაზღვევო პერიოდში გაცემული ყოველი სადაზღვევო ანაზღაურების შედეგად.

ანაზღაურების ქველიმიტი - კონკრეტული შემთხვევისთვის განსაზღვრული ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა, შესაბამისი სექციისთვის გათვალისწინებული სადაზღვევო თანხის/ანაზღაურების ჯამური ლიმიტის ფარგლებში.

საბაზრო ღირებულება - ფულადი თანხა, რომელიც საჭიროა დაზღვეული ავტოტრანსპორტის, ან მისი ცალკეული დეტალების იდენტური მახასიათებლების მქონე საშუალების შესაძენად საქართველოს ბაზარზე, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისთვის.

აღდგენითი ღირებულება - სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტოტრანსპორტის აღსადგენად საჭირო, სათადარიგო ნაწილებისა და შესასრულებელი სამუშაოს საბაზრო ღირებულება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისთვის.

სრული დაზიანება (განადგურება) - მზღვეველი უფლებამოსილია მიანიჭოს ავტოტრანსპორტს სრული დაზიანების სტატუსი იმ შემთხვევაში, როდესაც მისი აღდგენითი ღირებულება აჭარბებს საბაზრო ღირებულების **60 %-ს**.

გამონაკლისი - შემთხვევა, მიუხედავად მისი გამომწვევი მიზეზისა, რომელიც წინამდებარე დაზღვევის პირობების შესაბამისად არ მიიჩნევა სადაზღვევო შემთხვევად და არ ექვემდებარება ანაზღაურებას.

ფრანშიზა - სადაზღვევო პოლისში მითითებული თანხა, რომელიც არ ექვემდებარება მზღვეველის მიერ ანაზღაურებას და აკლდება ასანაზღაურებელი ზარალის თანხას თითოეულ და ყველა შემთხვევაზე.

სუბროგაცია - მზღვეველის უფლება, დამზღვევისთვის (დაზღვეული, მოსარგებლე) სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდგომ დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნები სადაზღვევო შემთხვევის დადგომაში ბრალეული მხარისაგან.

სექცია I - ავტოტრანსპორტის ძარის დაზღვევის პირობები

1. სადაზღვევო დაფარვა

ავტოტრანსპორტის ძარის დაზღვევის პირობები მოიცავს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ავტოტრანსპორტის ძარის, ქარხნულად დამონტაჟებული ნაწილების/მოწყობილობების დაზიანებით, დაკარგვით ან განადგურებით დამდგარ მატერიალურ ზარალს, რომელიც გამოწვეულია შემდეგი დაზღვეული რისკ(ებ)ით:

- საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა;
- ხანძარი, აფეთქება;
- საგნების ვარდნა;
- ცხოველის ან/და ფრინველის მიერ ავტოტრანსპორტის გარეგანი ვიზუალური დაზიანება;
- მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება - ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, ვანდალიზმი;
- სტიქიური მოვლენები: წყალდიდობა, დიდთოვლობა, მეწყერი, ქარი (ჰაერის მასების მოძრაობა 25 მ/წმ -ზე მეტი სიჩქარით) მიწისძვრა, მეხის დაცემა და სეტყვა;
- საქარე მინების და სხვა მსხვრევადი ნაწილების (მაშუქი, დამატებითი მაშუქი და სხვა) ასხლეტილი ქვით ან კენჭით დაზიანება;

2. სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა

2.1 ავტოტრანსპორტის ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში:

2.1.1 მზღვეველი ანაზღაურებს, ავტოტრანსპორტის სადაზღვევო შემთხვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენითი სამუშაოების ღირებულებას, რომელსაც გამოაკლდება პოლისით გათვალისწინებული ფრანშიზის ოდენობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების მომენტისათვის სადაზღვევო პოლისის გრაფიკით განსაზღვრული გადაუხდელი პრემია.

2.1.2 სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, თუ მასში არ ფიგურირებს მესამე პირი, არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე, არ არის ავტოტრანსპორტი გადაადგილებული, მზღვეველი უფლებამოსილია ანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევა საპატრულო/შესაბამისი ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტის გარეშე. სავარაუდო ზიანის შეფასება ხდება მზღვეველის წარმომადგენლის მიერ და ასეთ შემთხვევაში ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს **1000 (ათასი) ლარს**. ამასთან, დამზღვევს არ აქვს დამატებითი თანხის მოთხოვნის უფლება, მიუხედავად შემდგომში შეფასებული ზიანის ოდენობისა. მზღვეველი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულების საფუძველზე მოითხოვოს საპატრულო პოლიციის გამოძახება და რეგულირების პროცესი გააგრძელოს სტანდარტულად, წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესების შესაბამისად.

2.2 გარანტიაზე მყოფი ავტომობილების შემთხვევაში:

2.2.1 თუ დაზიანებული/განადგურებული ავტოტრანსპორტის ასაკი არ აღემატება **3 (სამი)** წელს და ამასთანავე, მასზე მოქმედებს საგარანტიო მომსახურება, შეკეთების ღირებულების განსაზღვრისას მზღვეველი დაეყრდნობა შესაბამისი ბრენდის ავტორიზებული სერვის ცენტრის კალკულაციას და თანხას გადარიცხავს შესაბამისი ცენტრის ანგარიშზე.

2.2.2 სხვა შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია თავად შეარჩიოს შემფასებელი სერვის ცენტრი და სადაზღვევო ანაზღაურება გასცეს წარმოდგენილი კალკულაციის შესაბამისად.

2.3 ავტოტრანსპორტის სრული დაზიანების (განადგურების) შემთხვევაში:

2.3.1 ავტოტრანსპორტის სრული დაზიანების (განადგურების) ან ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის შედეგად ავტოტრანსპორტის დაკარგვის შემთხვევაში, მზღვეველი გასცემს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისთვის დაზღვეული ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულების შესაბამის თანხას, არაუმეტეს სადაზღვევო თანხისა, რომელსაც გამოაკლდება:

- სადაზღვევო პერიოდის მანძილზე უკვე ანაზღაურებული თანხ(ებ)ი;
- სადაზღვევო პოლისში მითითებული ფრანშიზა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული პრემიის გადაუხდელი ნაწილი სრულად;
- ავტოტრანსპორტის ნარჩენი ღირებულება (იმ შემთხვევაში თუ განადგურებული ავტოტრანსპორტი რჩება დამზღვევის/მოსარგებლის კანონიერ მფლობელობაში) ნარჩენი ღირებულების გამოკლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მზღვეველი.
- სადაზღვევო შემთხვევიდან გამომდინარე ევაკუირების ხარჯები.

2.3.2 ავტოტრანსპორტის ქურდობის/გატაცების შემთხვევაში, სამართალდამცავი ორგანოების მიერ შესაბამისი წარმოების დაწყებიდან **30 (ოცდაათი)** კალენდარულ დღიან ვადაში ავტოტრანსპორტის პოვნისას/დაბრუნებისას საკუთრების უფლება დაბრუნებულ ავტოტრანსპორტზე რჩება დამზღვევის/მოსარგებლეს, ამავდროულად იგი ვალდებულია მზღვეველს დაუბრუნოს მიღებული სადაზღვევო ანაზღაურება, დაზღვევის ობიექტის შეკეთებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით, თუკი დაბრუნებული დაზღვევის ობიექტი დაზიანებული იქნება, ან/და მზღვეველის გადაწყვეტილების შესაბამისად გადასცეს მას სადაზღვევო ანაზღაურებით შეძენილი ან დაბრუნებული ავტოტრანსპორტი.

2.3.3 თუ **2.3.2** პუნქტში მითითებული ვადა აღემატება **30 (ოცდაათი)** კალენდარულ დღეს, დაბრუნებულ/ნაპოვნ ავტოტრანსპორტზე საკუთრების უფლება გადაეცემა მზღვეველს.

2.3.4 დამზღვევის მხრიდან **2.3.2** და **2.3.3** პუნქტებში მითითებული ვალდებულებების შესრულების ვადა განისაზღვრება მზღვეველის მიმართვიდან არაუგვიანეს **14 (თოთხმეტი)** კალენდარული დღისა.

2.4 სადაზღვევო ანაზღაურების გამოთვლის წესი

2.4.1 თუ დაზიანებული/განადგურებული ავტოტრანსპორტის დაზიანებული ნაწილ(ებ)ი არ ექვემდებარება აღდგენას, მზღვეველი უფლებამოსილია აანაზღაუროს თანხა, რომელიც დაანგარიშდება დაზიანებული დეტალის მეორადი კომპლექტაციის ღირებულების შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული დეტალის მოძიება საქართველოს ბაზარზე შეუძლებელია, მზღვეველი უფლებამოსილია აანაზღაუროს ახალი არაორიგინალი დეტალის ღირებულების შესაბამისი თანხა. აღნიშნული პირობა მოქმედებს საქარე მინის დაზიანების შემთხვევაშიც.

2.4.2 თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული საბურავის დისკი ხელს არ უშლის დაზღვეული ავტოტრანსპორტის უსაფრთხო ექსპლუატაციას, მზღვეველი აანაზღაურებს დაზიანებული დისკის შეკეთების/აღდგენის ხარჯებს.

2.4.3 საქართველოს ფარგლებს გარეთ, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დამდგარი ძარის დაზიანება/განადგურება, ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენის პირობით. ამავდროულად, ასანაზღაურებელი თანხა განისაზღვრება საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საშუალო საბაზრო ფასების მიხედვით.

2.4.4 თუ სადაზღვევო თანხა ნაკლებია ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულებაზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისთვის, ანუ ადგილი აქვს შემცირებულ (არასრულ) დაზღვევას, სადაზღვევო ანაზღაურების გამოანგარიშებისას გამოიყენება პროპორციულობის მეთოდი და შესაბამისად ანაზღაურება შემცირდება, სადაზღვევო თანხასა და სადაზღვევო შემთხვევის მომენტისთვის ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულებას შორის არსებული პროპორციით. მზღვეველი უფლებამოსილია თავად განახორციელოს საბაზრო ღირებულების დადგენა, ამასთან ფრანშიზა გამოიქვითება პროპორციულობის მეთოდის გამოყენების შემდეგ.

2.4.5 თუ მზღვეველი და დამზღვევი ვერ თანხმდებიან ასანაზღაურებელი ზარალის ოდენობაზე, ზარალის შეფასება განხორციელდება შესაბამისი საექსპერტო დაწესებულების მიერ. ექსპერტიზასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს ანაზღაურებს ექსპერტიზის დანიშვნის ინიციატორი მხარე, ხოლო თუ ექსპერტიზა ინიშნება ორივე მხარის შეთანხმებით, ექსპერტიზის ხარჯი განაწილდება დამზღვევსა და მზღვეველს შორის თანაბრად.

2.4.6 თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად, დაზღვეული ავტოტრანსპორტი ვერ გადაადგილდება საკუთარი სვლით, მზღვეველი უზრუნველყოფს დაზიანებული ავტოტრანსპორტის გადაყვანას შეთანხმებულ შემკეთებელ სერვის-ცენტრამდე. გადაყვანის ხარჯი განიხილება როგორც შეკეთებასთან დაკავშირებული ხარჯი და გამოიქვითება სადაზღვევო ანაზღაურების ჯამური ლიმიტიდან.

2.4.7 თუ დაზღვეული ავტოტრანსპორტი ერთდროულად რამდენიმე მზღვეველთან არის დაზღვეული ერთი და იგივე რისკებისგან (ორმაგი დაზღვევა), დამზღვევი ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მზღვეველს წერილობით, მზღვეველ(ებ)ის ვინაობის და სადაზღვევო თანხის ოდენობის მითითებით. ასეთ შემთხვევაში, მზღვეველები მოვალენი იქნებიან დამზღვევის წინაშე, სოლიდარული პასუხისმგებლობით იმ თანხის ფარგლებში, რაც დაზღვევის ხელშეკრულების ფარგლებში აქვთ გაფორმებული, თუმცა დამზღვევს არ აქვს უფლება, სადაზღვევო ანაზღაურების სახით მიიღოს ჯამში რეალურ ზიანზე მეტი თანხა. ორმაგი დაზღვევის შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება დამზღვევთან, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და ამასთან უფლებამოსილია დამდგარი შემთხვევები არ აანაზღაუროს.

3. ავტოტრანსპორტის ძარის დაზღვევასთან დაკავშირებული გამონაკლისები

ანაზღაურებას არ ექვემდებარება:

3.1 ავტოტრანსპორტის დაზიანება / განადგურება, როდესაც დაზღვეული ავტოტრანსპორტის გასაღები გადაცემული იყო არაუფლებამოსილი მძღოლისთვის.

3.2 ქურდობით გამოწვეული ზიანი, თუ დაზღვეული ავტოტრანსპორტი დატოვებული იყო ღია მდგომარეობაში, ან ჩაწეული იყო შუშები.

3.3 ქურდობით გამოწვეული ზიანი, თუ ასეთის დროს ავტოტრანსპორტის გასაღები დატოვებული იყო დაზღვეულ ავტოტრანსპორტში/ზე.

3.4 საბურავ(ებ)ის ცალკეული დაზიანება, რაც არ არის გამოწვეული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევით.

3.5 დაზიანებული გზის სავალ ნაწილზე (გარდა გზის სავალ ნაწილზე განთავსებული საკანალიზაციო სისტემის და სატელეკომუნიკაციო ჭისა) ძრავის, გადაცემათა კოლოფის, დისკების და საბურავების დაზიანებით გამოწვეული ზარალი.

3.6 დაზიანება/დაკარგვა/განადგურება, რაც არ არის გამოწვეული პოლისში მითითებული, დაზღვეული რისკებით.

3.7 ავტოტრანსპორტის იმ ნაწილ(ებ)ის შეკეთების/ჩანაცვლების/აღდგენის ხარჯები, რომლებსაც სადაზღვევო შემთხვევამდე ან სადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე აღენიშნებოდა დაზიანება.

3.8 დაზღვეულ ავტოტრანსპორტში/ზე დამონტაჟებული, ქარხნული კომპლექტაციისგან განსხვავებული დეტალების, მოწყობილობების ან აქსესუარების, მათ შორის ტელე-რადიო-აუდიო-

ვიდეო აპარატურის დაზიანება/დაკარგვა/განადგურებით გამოწვეული ზიანი, თუ ასეთი დეტალების დაზღვევა მზღვეველთან წინასწარ არ იყო შეთანხმებული და მითითებული შესაბამის პოლისში.

3.9 დაზღვეული ავტოტრანსპორტის სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომრის ნებისმიერი მიზეზით დაკარგვა/დაზიანება/განადგურებით გამოწვეული ზარალი.

3.10 ტენტ(ებ)ი, ტენტის მექანიზმი, შალითები, საღებავის დამცავი ფირის ღირებულება და სხვა არაქარხნული გაუმჯობესებები თუ შესაბამისი სადაზღვევო პოლისით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

3.11 სადაზღვევო შემთხვევა, რომელიც დადგა დაზღვეული ავტოტრანსპორტის მზღვეველის მიერ წინასწარ დადგენილი წესით დასურათებისა და მზღვეველის მიერ აღნიშნული ფოტოების დადასტურებამდე.

3.12. სახელმწიფოს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ ავტოტრანსპორტის ჩამორთმევის/სხვაგვარი შეზღუდვის შედეგად გამოწვეული ნებისმიერი სახის ზარალი.

3.13. საერთო გამონაკლისებში ჩამოთვლილი შემთხვევებით გამოწვეული ზარალი.

სექცია II- მესამე პირ(ებ)ის წინაშე წარმოქმნილი პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობები

4. სადაზღვევო დაფარვა

4.1 სადაზღვევო შემთხვევას წარმოადგენს, დაზღვეული ავტოტრანსპორტის უფლებამოსილი მძღოლის მიერ, დაზღვევის მოქმედების პერიოდში, ავტოტრანსპორტის მართვის შედეგად მესამე პირ(ებ)ის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონებისათვის მიყენებული ზიანი.

5. სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა და გამოთვლის წესი

5.1 მესამე პირ(ებ)ის ქონებისადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურება განხორციელდება ფულადი ფორმით მზღვეველის მიერ შერჩეული სპეციალიზირებული სერვის-ცენტრის, ან შესაბამისი საექსპერტო დაწესებულების მიერ განხორციელებული შეფასების შესაბამისად.

5.2 მესამე პირ(ებ)ის წინაშე წარმოქმნილი პასუხისმგებლობის ფარგლებში სადაზღვევო შემთხვევის დადასტურებისას, პოლისით გათვალისწინებული ჯამური სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში, ანაზღაურებას ექვემდებარება:

5.2.1 სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად დაზარალებული მესამე პირ(ებ)ის სიცოცხლის ან/და ქონების გადასარჩენად ან ზიანის შესამცირებლად გაწეული მიზანშეწონილი ხარჯები.

5.2.1 მზღვეველთან წერილობითი შეთანხმების შედეგად, მესამე პირ(ებ)ის პრეტენზიებთან დაკავშირებული სასამართლო ან სასამართლოს გარეშე ხარჯები. აგრეთვე, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გარემოებებისა და ზარალის ოდენობის დადგენის ხარჯები, პოლისში მითითებული ჯამური სადაზღვევო ლიმიტის **20 %**-ის ფარგლებში.

5.2.2 კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, დაზარალებული პირისთვის გადასახდელი კომპენსაცია, გარდა დამზღვევის/მოსარგებლეს/უფლებამოსილი მძღოლის წინააღმდეგ სასამართლოს მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა, ან მის მიერ აღიარებული სასარჩელო მოთხოვნისა.

5.2.3 სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, მესამე პირ(ებ)ისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაცია, თუ ამგვარი კომპენსაციის ოდენობა წინასწარ არის წერილობით შეთანხმებული მზღვეველთან და დაზარალებული წერილობით ადასტურებს, რომ მას არ გააჩნია არავითარი პრეტენზია სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით.

5.2.4 მესამე პირ(ებ)ის გარდაცვალების ან ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში, მზღვეველი ანაზღაურებს სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე კომპენსაციის ოდენობას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებულ ჯამურ სადაზღვევო ლიმიტს.

5.2.5 მესამე პირ(ებ)ისთვის გაწეული გადაუდებელი ამბულატორიული ან/და სტაციონარული ხარჯები:

5.2.6 დამატებითი ხარჯები, რომლებიც გამოწვეულია მესამე პირ(ებ)ის ჯანმრთელობის დაზიანებით, მათ შორის მედიკამენტების, საკვები დანამატების, პროთეზირების, ზედამხედველობისა და მოვლის, სპეციალური სატრანსპორტო საშუალების შეძენის, პროფესიული გადამზადების ხარჯები, ამავე სექციით განსაზღვრული ანაზღაურების ჯამური ლიმიტის **20 %** - ის ფარგლებში, თუ დადგენილია, რომ აღნიშნულ ხარჯებს არ ფარავს სახელმწიფო, სამედიცინო ან/და სხვა უფლებამოსილი ორგანო.

5.2.7 მესამე პირ(ებ)ის შრომისუნარიანობის მკვეთრად გამოხატული შეზღუდვისას დაკარგული, დოკუმენტურად დადასტურებული შემოსავალი, მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო შემთხვევამდე ბოლო **12 (თორმეტი)** თვის განმავლობაში მიღებული ასეთი სახის შემოსავლისა.

5.2.8 შრომისუნარიანობის მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდვისას დოკუმენტურად დადასტურებული, ბოლო **12 (თორმეტი)** თვის შრომის ანაზღაურების **70 %**.

5.2.9 შრომისუნარიანობის მსუბუქად გამოხატული შეზღუდვისას დოკუმენტურად დადასტურებული, ბოლო **12 (თორმეტი)** თვის შრომის ანაზღაურების **35 %**.

5.2.10 მესამე პირ(ებ)ის გარდაცვალების შემთხვევაში, შესაბამისი სექციით გათვალისწინებული სადაზღვევო თანხის **100 %**, არაუმეტეს სადაზღვევო შემთხვევამდე ბოლო **12 (თორმეტი)** თვის განმავლობაში მიღებული ჯამური შემოსავლისა.

5.2.11 მესამე პირ(ებ)ისთვის მიყენებული ქონებრივი ზიანის შემთხვევაში, შესაბამისი სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული ჯამური ლიმიტის ფარგლებში ანაზღაურებას ექვემდებარება:

5.2.12 ქონების სრული განადგურების შემთხვევაში - განადგურებული ქონების საბაზრო, ან აღდგენითი ღირებულება, განადგურებული ქონების სპეციფიკის, გაუფასურების და ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

5.2.13 ქონების ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში - დაზიანებამდე არსებულ მდგომარეობამდე მისაყვანად საჭირო შეკეთების, აღდგენის/ჩანაცვლების ხარჯები.

5.2.14 ერთი საგაზო-სატრანსპორტო შემთხვევით გამოწვეული, ერთზე მეტი მესამე პირის დაზიანება განხილული იქნება ერთ სადაზღვევო შემთხვევად. მესამე პირ(ებ)ისადმი მიყენებული ზარალის ასანაზღაურებელი მთლიანი თანხა, სადაზღვევო შემთხვევების რაოდენობის მიუხედავად, არ შეიძლება აღემატებოდეს სადაზღვევო პოლისში ამ სექციით გათვალისწინებულ, ანაზღაურების ჯამურ ლიმიტს. შესაბამისად, თითოეულ დაზარალებულზე ანაზღაურება გაიცემა პროპორციულად, ხოლო თუ მთლიანი ზარალის ოდენობა აღემატება გამოსაყენებელ ლიმიტს, ანაზღაურება თითოეული დაზარალებულისთვის შემცირდება მიყენებული ზიანის საერთო ოდენობაში გამოსაყენებელი ლიმიტის წილის გათვალისწინებით.

6. მესამე პირ(ებ)ის წინაშე წარმოქმნილ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული გამონაკლისები

ანაზღაურებას არ ექვემდებარება:

6.1. დაზღვეული ავტოტრანსპორტის მძღოლის ან მგზავრების, დამზღვევთან/მოსარგებლესთან შრომით/სამსახუროებრივ ურთიერთობაში მყოფი პირის, ოჯახის წევრების გარდაცვალება ან ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანი.

6.2 მზღვეველთან წინასწარ წერილობითი შეთანხმების გარეშე, დაზარალებული პირისთვის გადახდილი კომპენსაცია/დაზარალებული პირის წინაშე აღებული/ადიარებული პასუხისმგებლობა.

6.3 მესამე პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება/გარდაცვალება, თუ ასეთი შემთხვევა დადგა სადაზღვევო შემთხვევიდან **12 (თორმეტი)** კალენდარული თვის გასვლის შემდეგ.

6.4 ნებისმიერი ქონებისთვის მიყენებული ზიანი, რომელიც წარმოადგენს დამზღვევის / დაზღვეულის ან უფლებამოსილი მძღოლ(ებ)ის საკუთრებას, ან მინდობილი საკუთრების სახით ინახება დამზღვევთან/დაზღვეულთან/უფლებამოსილ მძღოლ(ებ)თან, ან გადაიზიდება დაზღვეული ავტოტრანსპორტით, ან მასზე დამაგრებული ნებისმიერი სახის მისაბმელით.

6.5 საერთო გამონაკლისებში ჩამოთვლილი შემთხვევებით გამოწვეული ზარალ(ებ)ი.

სექცია III - მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის პირობები

7. სადაზღვევო დაფარვა

ამ სექციით იფარება სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, დაზღვეულ ავტოტრანსპორტში ყოფნის დროს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად, უფლებამოსილი მძღოლის ან/და მგზავრების სხეულის დაზიანება /ჯანმრთელობის გაუარესება/გარდაცვალება

8. სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა

8.1 სადაზღვევო პოლისით განისაზღვრება ჯამური სადაზღვევო ლიმიტი დაზღვეულ ავტოტრანსპორტზე, ხოლო ქველიმიტი თითოეული ადგილისთვის განისაზღვრება ჯამური ლიმიტის შეფარდებით დასასხდომი ადგილების რაოდენობასთან. ამასთან დაზღვეული ადგილების რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობაში ან/და სხვა ტექნიკურ დოკუმენტაციაში მითითებული დასასხდომი ადგილების მაქსიმალურ რიცხვს. სადაზღვევო შემთხვევის დადასტურების შემთხვევაში, მზღვეველი სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული ლიმიტისა და ქველიმიტის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით ანაზღაურებს:

ა) სამედიცინო დაწესებულებამდე მიყვანის და პირველადი გადაუდებელი ამბულატორიული მკურნალობის დოკუმენტურად დადასტურებულ ხარჯებს.

ბ) სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისა და ყოფნის დოკუმენტურად დადასტურებულ ხარჯებს.

8.2 სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზარალებულის შრომისუნარიანობის შეზღუდვისას, ანაზღაურება გაცივმა ქვემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით, სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული ქველიმიტის (ჯამური სადაზღვევო ლიმიტი გაყოფილი დასასხდომი ადგილების რაოდენობაზე, მძღოლის ადგილის ჩათვლით) შესაბამისად, უკვე გაცემული ანაზღაურების გამოკლებით:

შრომისუნარიანობის მკვეთრად გამოხატული შეზღუდვისას, დოკუმენტურად დადასტურებული შრომის ანაზღაურება, არაუმეტეს ბოლო 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში მიღებული ასეთი შემოსავლისა.	100%
შრომისუნარიანობის მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდვისას, დოკუმენტურად დადასტურებული შრომის ანაზღაურება, არაუმეტეს ბოლო 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში მიღებული ასეთი შემოსავლისა.	70%
შრომისუნარიანობის მსუბუქად გამოხატული შეზღუდვისას, დოკუმენტურად დადასტურებული შრომის ანაზღაურება, არაუმეტეს ბოლო 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში მიღებული ასეთი შემოსავლისა.	35%

8.3 სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული რამდენიმე ადამიანის მიერ სხეულის დაზიანების ან გარდაცვალების შემთხვევაში, თუ მთლიანი ზარალის ოდენობა აღემატება ჯამურ სადაზღვევო ლიმიტს, ანაზღაურება თითოეული დაზარალებული პირისათვის შემცირდება მიყენებული ზიანის საერთო ოდენობაში ჯამური სადაზღვევო ლიმიტის წილის გათვალისწინებით.

8.4 დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში:

ა) ანაზღაურება გაიცემა გარდაცვლილის კანონიერ მემკვიდრე(ებ)ზე.

ბ) დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში, ანაზღაურების მიმღებ(ებ)ის არ არსებობისას მზღვეველი ანაზღაურებს მხოლოდ დაკრძალვის ხარჯებს, ერთ პირზე განსაზღვრული ქველიმიტის ფარგლებში.

გ) სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული ქველიმიტის **100 %**, რომელსაც გამოაკლდება სხეულის დაზიანებისას ჯანმრთელობის აღდგენისთვის უკვე გაწეული ხარჯები.

9. მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევის დაზღვევასთან დაკავშირებული გამონაკლისები

ანაზღაურებას არ ექვემდებარება:

9.1 ჯანმრთელობის გაუარესება/გარდაცვალება, თუ ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დადგომის მომენტიდან **12 (თორმეტი)** კალენდარული თვის გასვლის შემდეგ.

9.2 ნებისმიერი სახელმწიფო, მუნიციპალური, სამედიცინო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით გათვალისწინებული, დაზღვეული ავტოტრანსპორტის მძღოლის ან/და მგზავრების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების/გარდაცვალების გამო გაწეული ხარჯები, თუ ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დადგომის მომენტიდან **12 (თორმეტი)** კალენდარული თვის გასვლის შემდეგ.

9.3 საერთო გამონაკლისებში ჩამოთვლილი შემთხვევებით გამოწვეული ზარალ(ებ)ი.

სექცია IV - საერთო პირობები

10. მხარეთა ვალდებულებები და უფლება - მოვალეობები

დამზღვევი ვალდებულია:

10.1 უზრუნველყოს მზღვეველი ხელშეკრულების გასაფორმებლად აუცილებელი/უტყუარი ინფორმაციით, როგორც დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებამდე, ასევე მთელი სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში.

10.2 დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებისას დაასურათოს ავტოტრანსპორტი მზღვეველის მიერ წინასწარ დადგენილი წესის შესაბამისად, ან სადაზღვევო კომპანიის ოფისში მზღვეველის წარმომადგენლის დახმარებით. ასევე, მისცეს მზღვეველს საშუალება როგორც დაზღვევამდე, ასევე სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ნებისმიერ დროს, დაზღვეული ავტოტრანსპორტის დათვალიერებისა და ფოტოგადაღებისთვის. ფოტომასალის მიწოდება შესაძლებელია მზღვეველის მიერ გაგზავნილი სპეციალური ბმულის საშუალებით. ასევე, მზღვეველის ელ. ფოსტის საშუალებით photos@euroins.ge ან მზღვეველის ოფისში (**ქ. თბილისი, ილო მოსაშვილის N 24**) მისი წარმომადგენლის მიერ დასურათების გზით. იმ შემთხვევაში თუ ფოტომასალა მზღვეველს მზღვევის ან/და ელ.ფოსტის საშუალებით ეგზავნება აუცილებელია მზღვეველის დასტური, რომ აღნიშნული ფოტომასალა მიღებულია და შეესაბამება მზღვეველის მიერ დადგენილ სტანდარტებს.

10.3 დაზღვეულს/მოსარგებლეს და ყველა უფლებამოსილ მძღოლს გააცნოს და შეუთანხმოს, წინამდებარე დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული პოლისით გათვალისწინებული დაზღვევის პირობები.

10.4 დაუყოვნებლივ, წერილობით, შეატყობინოს მზღვეველს დაზღვევის მოქმედების პერიოდში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება: (ფაქტობრივი/იურიდიული მისამართი, საკონტაქტო მონაცემები, ავტომობილის გასხვისება, უფლებამოსილი მძღოლის დამატება/ცვლილება, ექსპლუატაციის პირობების, ავტოტრანსპორტის გამოყენების მიზნობრიობის ან ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის ცვლილება).

10.5 მიიღოს ყველა შესაძლებელი და მიზანშეწონილი ზომა დაზღვეული ავტოტრანსპორტის გადარჩენის, შემდგომი დანაკარგის ან/და ზიანის მოცულობის შესამცირებლად.

10.6 არ დაიწყოს დაზიანებული ავტოტრანსპორტის შეკეთება მზღვეველთან წერილობითი შეთანხმების გარეშე, ამასთან მზღვეველის ზეპირი/წერილობითი ინსტრუქციის მიღებიდან არაუგვიანეს **10 (ათი)** კალენდარული დღისა, გადაიყვანოს დაზიანებული დაზღვეული ავტოტრანსპორტი მზღვეველის მიერ მითითებულ სერვის ცენტრში შესაფასებლად/შესაკეთებლად.

10.7 მზღვეველის მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს სადაზღვევო შემთხვევის დროს დაზღვეული ავტოტრანსპორტის მძღოლის მართვისა და პირადობის მოწმობები. ცნობა მძღოლის ნარკოტიკულ, ფსიქოტროპულ, ან ტოქსიკურ, ნივთიერებათა ზეგავლენის ქვეშ ყოფნის ფაქტის დადგენის შესახებ, მათი გაცემისთვის კანონმდებლობით დადგენილი ვადის გასვლიდან არაუგვიანეს **2 (ორი)** კალენდარული დღისა. ასევე ალკოტესტის შემოწმების ოქმი, გაცემული სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს **2 (ორი)** საათისა.

10.8 წარუდგინოს მზღვეველს მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

10.9 წარუდგინოს მზღვეველს დაზიანებული, დაზღვეული ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის ასლი, ხოლო სრული დაზიანების შემთხვევაში - დაზღვეული ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის ორიგინალი.

10.10 მესამე პირ(ებ)ის სიცოცხლის/ქონების/ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შესახებ ყველა სახის ინფორმაცია და დოკუმენტაცია. მათ შორის სამედიცინო დოკუმენტაცია/ჩანაწერები, საექსპერტო დასკვნები, ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევების პასუხები და გაწეული მომსახურების

დოკუმენტის ორიგინალები - მესამე პირ(ებ)ის სიცოცხლის/ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში. საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია დაზიანებულ ქონებაზე - მესამე პირ(ებ)ის ქონების დაზიანების შემთხვევაში.

10.11 დაზღვეული ავტოტრანსპორტის ქურდობის/დაკარგვის შემთხვევაში, მზღვეველს წარუდგინოს ავტოტრანსპორტის ქარხნული გასაღების კომპლექტი (მათ შორის სიგნალიზაციის პულტი - ასეთის არსებობის შემთხვევაში) სარეგისტრაციო მოწმობის ორიგინალი, დაზღვეულ ავტომობილზე გაცემული ნებისმიერი მინდობილობის ორიგინალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

10.12 წარუდგინოს მზღვეველს ზარალის მოცულობის დასადგენად საჭირო, სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია კომპეტენტური ორგანოებიდან: შემთხვევის ადგილის, თარიღის, შემთხვევის ყველა მონაწილის დასახელებით, სადაზღვევო შემთხვევის დადგომაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო მონაცემები და შემთხვევის დეტალები. სახელმწიფო ან სხვა ნებისმიერი ოფიციალური ორგანოს მიერ გაცემული ინფორმაცია / დოკუმენტაცია, მათ შორის, სადაზღვევო შემთხვევის სპეციფიკის და გარემოებ(ებ)ის გათვალისწინებით მზღვეველის მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი სახის დამატებითი ინფორმაცია.

10.13 მზღვეველის მოთხოვნის შემთხვევაში, მისცეს მას სრული წვდომის უფლება სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევი მიზეზების/გარემოებების დასადგენად მზღვეველის წარმომადგენლის, ან შესაბამისი საექსპერტო დაწესებულების მიერ, დაზღვეული ავტოტრანსპორტის ნებისმიერი ჩამწერი მოწყობილობიდან, მათ შორის **Crash Data Retrieval / Event Data Recorder** მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია.

10.14 დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი სახის უწყების, შეტყობინების, სისხლის სამართლის საქმის წარმოების, საგამოძიებო მოქმედებების დაწყების, აღძრული სარჩელის ან/და განცხადების/პრეტენზიის შესახებ.

10.15 დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს შემთხვევის შესახებ, ასისტანსის **24 საათიანი** ცხელი ხაზის ნომერზე **(+995 32 220 33 33)** ხოლო მზღვეველის მოთხოვნის შემთხვევაში **3 (სამი)** კალენდარული დღის განმავლობაში მიაწოდოს მზღვეველს წერილობითი შეტყობინება სადაზღვევო შემთხვევის გარემოებების შესახებ.

10.16 დაუყოვნებლივ გამოიძახოს საპატრულო პოლიცია **(112)**, გარდა ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის მომენტში საქარე მინ(ებ)ის, გვერდითი მინების ან სხვა მსხვრევადი ნაწილ(ებ)ის (მაშუქი, დამატებითი მაშუქი და სხვა) ასხლეტილი ქვით ან კენჭით დაზიანებისა, თუ ამის შესახებ არ იქნება მზღვეველის სპეციალური მითითება.

10.17 სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას არ გადაადგილოს დაზღვეული ავტოტრანსპორტი, მიიღოს ყველა მიზანშეწონილი ზომა, რათა საპატრულო პოლიციის მისვლამდე შენარჩუნებულ იქნას სადაზღვევო შემთხვევის სურათი. არ მიატოვოს შემთხვევის ადგილი, საპატრულო პოლიციის ან/და მზღვეველის მითითების გარეშე.

10.18 უზრუნველყოს სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირების აქტის მოსარგებლის მიერ ხელმოწერილი ეგზემპლარის წარმოდგენა, მზღვეველის მიერ შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან **5 (ხუთი)** სამუშაო დღის ვადაში.

10.19 სადაზღვევო ანაზღაურების მიღების შემდეგ უზრუნველყოს მზღვეველი შეკეთებული ავტოტრანსპორტის დამადასტურებელი ფოტო-ვიდეო მასალით, სადაც მკაფიოდ უნდა ჩანდეს შეკეთების/აღდგენის შედეგები. ფოტომასალის მიწოდება შესაძლებელია მზღვეველის მიერ გაგზავნილი სპეციალური ბმულის საშუალებით. ასევე, მზღვეველის ელ. ფოსტის საშუალებით photos@euroins.ge ან მზღვეველის ოფისში **(ქ. თბილისი, ილო მოსაშვილის N 24)** მისი წარმომადგენლის მიერ დასურათების გზით. იმ შემთხვევაში თუ ფოტომასალა მზღვეველს ლინკის ან/და ელ.ფოსტის საშუალებით ეგზავნება აუცილებელია მზღვეველის დასტური, რომ აღნიშნული ფოტომასალა მიღებულია და შეესაბამება მზღვეველის მიერ დადგენილ სტანდარტებს.

10.20 თავისი შესაძლებლობების და უფლებამოსილების ფარგლებში, ხელი შეუწყოს მზღვეველს სრულყოფილად მართოს ზარალის რეგულირების პროცესი, რაც ასევე გულისხმობს სუბროგაციული მოთხოვნის განხორციელებას.

10.21 წერილობით აცნობოს მზღვეველს ორმაგი დაზღვევებით სარგებლობის შესახებ. ორმაგი დაზღვევა მოიცავს, იმავე სადაზღვევო დაფარვებით გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ის არსებობას სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიებში.

10.22 მზღვეველის მოთხოვნის შემთხვევაში, გადასცეს საკუთრების უფლება ნაწილობრივი დაზიანებისას, სადაზღვევო შემთხვევის შედეგად ჩანაცვლებულ ნაწილებზე, ხოლო სრული დაზიანებისას (იმ შემთხვევაში თუ სადაზღვევო ანაზღაურებას არ გამოაკლდა ავტოტრანსპორტის ნარჩენი ღირებულება) სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებულ/სრულად განადგურებულ ავტოტრანსპორტზე. ამასთან, სრული დაზიანებისას მზღვეველისთვის ავტოტრანსპორტის გაფორმებამდე სავალდებულო წესით უნდა დაიფაროს ყველა სახის ადმინისტრაციული ჯარიმა/ხარჯი/საურავი. სადაზღვევო შემთხვევის შედეგად სრულად ან ნაწილობრივ დაზიანებული, დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების/მისი დაზიანებული ნაწილების მზღვეველისთვის გადაცემამდე, მზღვეველი უფლებამოსილია სადაზღვევო ანაზღაურება გასცეს დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების/მისი დაზიანებული ნაწილების ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, ხოლო აღნიშნული ნაწილების ან დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების გადმოცემის შემდეგ, გასცეს (შეავსოს) დარჩენილი სადაზღვევო ანაზღაურება.

11. მზღვეველი უფლებამოსილია:

11.1 ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის პირობების, გამოყენების მიზნობრიობის ან რისკის ხარისხის ზრდის შემთხვევაში, შესთავაზოს დამზღვევს დაზღვევის ახალი ხელშეკრულების გაფორმება შეცვლილი პირობებით.

11.2 ცალმხრივად, მისი ინიციატივით, წინასწარი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულების/პოლის(ებ)ის მოქმედება, თუ გამოვლინდა, რომ დამზღვევის მიერ მოწოდებული ინფორმაცია საეჭვო/არ შეესაბამება სინამდვილეს.

11.3 არ აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზარალ(ებ)ი, თუ დამზღვევი არ ასრულებს დამზღვევის ვალდებულების ფარგლებში გათვალისწინებულ პირობებს.

11.4 არ აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზარალ(ებ)ი, თუ დამზღვევი ხელს უშლის მზღვეველის უფლებამოსილების (მათ შორის, სუბროგაციული მოთხოვნის ნაწილში) დაკმაყოფილებას.

11.5 სადაზღვევო შემთხვევის გარემოებების დადგენის მიზნით, დამზღვევთან/დაზღვეულთან/მოსარგებლესთან შეთანხმების გარეშე მიმართოს შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს და მიიღოს მათგან საჭირო ინფორმაცია.

11.6 თავისი ინიციატივით დანიშნოს დამოუკიდებელი ექსპერტიზა, დაზღვეული ავტოტრანსპორტის ან და მესამე პირ(ებ)ის ქონებისთვის მიყენებული ზიანის გარემოებების და ზარალის ოდენობის დადგენის მიზნით.

11.7 შეადგინოს დაზღვეული ავტოტრანსპორტის/მესამე პირ(ებ)ის დაზიანებული/განადგურებული ქონების შეკეთების/აღდგენის ხარჯთაღრიცხვა.

11.8 არ აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზარალი, თუ დამზღვევი **30 (ოცდაათი)** კალენდარული დღის ვადაში არ წარმოადგენს სადაზღვევო შემთხვევის რეგულირებისთვის საჭირო ინფორმაციას / დოკუმენტაციას (გარდა, ისეთი შემთხვევებისა, როდესაც საბუთების / ინფორმაციის წარმოდგენა ვერ ხერხდება შესაბამის ორგანო(ებ)ში მიმდინარე გამოძიების ან სხვა პატივსაღები მიზეზ(ებ)ის გამო).

11.9 მზღვეველი უფლებამოსილია სადაზღვევო პრემიის გადახდის შეხსენების მიზნით / დავალიანების წარმოშობისას გაუგზავნოს დამზღვევს **SMS** შეტყობინება, სადაზღვევო განაცხადში მითითებულ დამზღვევის ტელეფონის ნომერზე.

12. ანაზღაურების გაცემის წესი

12.1 გადაწყვეტილებას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემისა და ოდენობის შესახებ იღებს მზღვეველი და ადგენს სადაზღვევო აქტს, **5 (ხუთი)** სამუშაო დღის ვადაში მას შემდეგ, რაც დამზღვევისგან წარედგინება სადაზღვევო შემთხვევის გარემოებების, ზიანის ოდენობისა და მზღვეველის ვალდებულების დადგენისთვის საჭირო ყველა საბუთი სრულყოფილად.

12.2 სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა, ზარალის დარეგულირებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ორმხრივად ხელმოწერიდან **5 (ხუთი)** სამუშაო დღის ვადაში.

12.3 დაზღვეული ავტოტრანსპორტის ნაწილობრივი დაზიანებისას, სადაზღვევო ანაზღაურება გადაერიცხება მზღვეველის პარტნიორ შემკეთებელ სერვის-ცენტრს ან ავტოტრანსპორტის კანონიერ მესაკუთრეს / წარმომადგენელს მზღვეველის გადაწყვეტილების შესაბამისად.

12.4 დაზღვეული ავტოტრანსპორტის სრული დაზიანებისას, სადაზღვევო ანაზღაურება გადაერიცხება დაზღვეული ავტოტრანსპორტის კანონიერ მესაკუთრეს / წარმომადგენელს. იმ შემთხვევაში თუ მზღვეველის გადაწყვეტილების შესაბამისად, სრულად დაზიანებული/განადგურებული ავტოტრანსპორტი რჩება მზღვეველის საკუთრებაში, სადაზღვევო ანაზღაურების მიღებამდე დამზღვევი ვალდებულია უზრუნველყოს მზღვეველისთვის დაზღვეულ ავტოტრანსპორტზე საკუთრების უფლების გადაცემა.

12.5 მზღვეველი უფლებამოსილია გადაავადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, თუ დაზღვეული რისკის ხდომილების ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია / მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის წარმოება და შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები ან/და დანიშნულია ექსპერტიზა. იმ შემთხვევაში, თუ წინასწარი საგამოძიებო დოკუმენტაციით სადაზღვევო შემთხვევა ექვემდებარება ანაზღაურებას, მზღვეველი უფლებამოსილია გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება წინამდებარე პირობების შესაბამისად. თუ გამოძიების დასრულების შემდეგ ვითარება შეიცვალა, მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს არასწორად გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, ხოლო დამზღვევი ვალდებულია უპირობოდ დააკმაყოფილოს აღნიშნული მოთხოვნა მისი წამოყენებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა. წინამდებარე პუნქტის მიზნებისთვის, დამზღვევი ვალდებულია (თუნდაც სადაზღვევო პერიოდი დასრულებული იყოს): (I) მზღვეველის მოთხოვნისას დაუყოვნებლივ მიაწოდოს გამოძიების მიმდინარეობის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია, ან (თუ არ ფლობს) თავად გამოითხოვოს საგამოძიებო ორგანოდან მზღვეველისთვის მიწოდების მიზნით; და (II) თავისი ქმედებით არ შეაფერხოს მზღვეველის მხრიდან ამ პუნქტში მინიჭებული უფლების გამოყენება.

12.6 პრემიის განვადებით გადახდისას, თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა აღემატება სადაზღვევო თანხის **40%-ს**, ანაზღაურებიდან გამოიქვითება გადაუხდეელი პრემიის ოდენობა სრულად.

12.7 სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

13. საერთო გამოწვევები

ქვემოთ მოცემული გამოწვევები საერთოა და გამოიყენება დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ყველა სექციასთან მიმართებაში. მზღვეველი არ ანაზღაურებს ზარალს იმ შემთხვევაში, თუ:

13.1 დაზღვეული ავტოტრანსპორტი გამოიყენებოდა პოლისში მითითებულისგან განსხვავებული დანიშნულებით ან/და კომერციული მიზნებისთვის (მაგალითად, ტაქსი, გაქირავება და ა.შ).

13.2 დამზღვევის მიერ, მზღვეველისთვის დაზღვევის ნებისმიერ ეტაპზე მოწოდებული ინფორმაცია არის ყალბი, არაზუსტი ან შეცდომაში შემყვანი.

13.3 შემთხვევის დადგომისას, დაზღვეულ ავტოტრანსპორტს მართავდა არაუფლებამოსილი მძღოლი (გარდა ქურდობა/მარცვა/ყაჩაღობით ან მათი მცდელობით ავტოტრანსპორტისთვის მიყენებული დაზიანებისა), მართვის უფლების არ მქონე მძღოლი (მათ შორის, თუ ასეთი მძღოლი დაზღვეულ ავტოტრანსპორტს მართავდა მართვის უფლების დროებით შეჩერებისას/ჩამორთმევისას).

13.4 შემთხვევის დადგომისას, დაზღვეული ავტოტრანსპორტის ექსპლუატაცია/მართვა ხორციელდებოდა უფლებამოსილი მძღოლის მიერ, რომელიც იმყოფებოდა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ, ან თუ უფლებამოსილმა მძღოლმა უარი განაცხადა მისი მდგომარეობის დასადგენად საჭირო სინჯ(ებ)ის/ტესტების ჩაბარებაზე ან/და მზღვეველს არ წარუდგინა შესაბამისი ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი.

13.5 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა დადგა საზოგადოებრივი ტრანსპორტისათვის განსაზღვრულ ზოლში მოძრაობისას, ან აღნიშნულ ზოლში მოძრაობის წესების დარღვევისას.

13.6 დამზღვევა//მოსარგებლემ ან უფლებამოსილმა მძღოლმა გააყალბა/შეეცადა გაეყალბებინა სადაზღვევო შემთხვევასთან ან ანაზღაურების მიღებასთან დაკავშირებული ინფორმაცია ან/და შესაბამისი დოკუმენტაცია.

13.7 შემთხვევა დადგა დაზღვევის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

13.8 შემთხვევა გამოწვეულია ნებისმიერი პირ(ებ)ის მიერ ჩადენილი თაღლითობით, გამოძალვით/მითვისებით ან ამის მცდელობით.

13.9 დაზღვეული ავტოტრანსპორტის დაზიანება შედეგად მოჰყვა მძღოლის მიერ თვითმკვლელობას /თვითმკვლელობის მცდელობას, ან საკუთარი ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებას. ასევე ნებისმიერი ფორმით განზრახ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, რომელიც კავშირშია სადაზღვევო შემთხვევის დადგომასთან.

13.10 დაზღვეული ავტოტრანსპორტი დაზიანდა ავტოდრომზე ან მის გარეთ ნებისმიერი სახის რბოლაში, სამაშველო მოქმედებ(ებ)ისას ან ნებისმიერი სახით მისი გამოცდისას (მათ შორის **Off Road, Test Drive, Drift**).

13.11 შემთხვევა დადგა დაზღვეული ავტოტრანსპორტის საჯარიმო სადგომზე დგომის დროს (გარდა სტიქიური მოვლენ(ებ)ით გამოწვეული ზიანისა).

13.12 დაზღვეული ავტოტრანსპორტის დაზიანება გამოწვეულია ამავე ავტომობილის, როგორც ტვირტის ტრანსპორტირებით, საჯარიმო სადგომზე გადაყვანისას, ევაკუატორით/ბუქსირით გადაზიდვით, დატვირთვა/გადმოტვირთვით, გარდა მზღვეველის მითითებით ტრანსპორტირების შემთხვევებისა.

13.13 სადაზღვევო შემთხვევა დადგა დაზღვეული ავტოტრანსპორტით დასაშვებზე მეტი რაოდენობის მგზავრების გადაყვანისას, ან დასაშვებ მაქსიმალურ ზღვრულ წონაზე მეტის გადატანისას, რამაც ხელი შეუწყო სადაზღვევო შემთხვევის ხდომილებას, ან გაზარდა ზარალის ოდენობა.

13.14 დაზღვეული ავტოტრანსპორტი დაზიანდა სამშენებლო/სამონტაჟო ტერიტორიაზე, ან ამგვარი საქმიანობის მიზნით სპეციალურად მოწყობილ ტერიტორიაზე, რომელზეც ავტოტრანსპორტით გადაადგილება შეზღუდული ან აკრძალულია. მათ შორის არ ანაზღაურდება ამავე პუნქტში

მითითებულ ტერიტორიაზე, დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მიერ მესამე პირისთვის მიყენებული ზიანი.

13.15 დაზღვეული ავტოსატრანსპორტი დაზიანდა აეროპორტის/აეროდრომის ტერიტორიაზე, რომელიც განკუთვნილია თვითმფრინავების ასაფრენ-დასაფრენად, გადასადგილებლად/სადგომად ან მომსახურებისთვის. ასევე, აეროპორტში ტერმინალისთვის ან/და საბაჟო შემოწმებისთვის.

13.16 შემთხვევა გამოწვეულია დაზღვეული ავტოსატრანსპორტის ტექნიკური გაუმართაობით (მათ შორის ტექნიკური გაუმართაობით გაჩენილი ხანძრით/აღლებით გამოწვეული ზიანი) ან / და ავტოსატრანსპორტი იმყოფებოდა ექსპლუატაციისთვის/მართვისთვის გამოუსადეგარ მდგომარეობაში.

13.17 შემთხვევა მოხდა არასაავტომობილო გზაზე, (გარდა ეზოს და ავტოფარეხის ტერიტორიისა) სადაც არ არის მყარი საფარის მქონე საერთო მოხმარების გზა, საკუთარი თვლებით გადაადგილებადი ავტოსატრანსპორტისთვის (მათ შორის ველობილიკი, სასოფლო-სამეურნეო გზა, ტყის გზა/მთის მასივი, სანაპირო/საკალაპოტე ბილიკი).

13.18 დაზღვეული ავტოსატრანსპორტი დაზიანდა სახელმწიფოს სახელით მოქმედი ნებისმიერი ორგანოს/უწყების გადაწყვეტილების თანახმად საკუთრების საზოგადო მფლობელობაში გადაცემის / ჩამორთმევის ან ამგვარის მცდელობისას. ასევე დაკავებით, დაპატიმრებით ან სახელმწიფო ორგანოების დავალებით განხორციელებული ქმედებით.

13.19 მზღვეველთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე, დაზღვეული ავტოსატრანსპორტის შეკეთებაზე/აღდგენაზე/სარემონტო სამუშაოებზე გაწეული ხარჯები.

13.20 დაზღვეული ავტოსატრანსპორტის VIN კოდის / შასის ნომერი განსხვავდება დაზიანებული ავტოსატრანსპორტის VIN კოდის / შასის ნომრისგან და მზღვეველმა ის მოიპოვა ავტოსატრანსპორტის მწარმოებლის ან სხვა კომპეტენტური წყაროს საშუალებით.

13.21 ზარალი გამოწვეულია, ან დაზღვეული ავტოსატრანსპორტის მდგომარეობა გაუარესებულია შემთხვევამდე არსებული დაზიანებით / შეკეთებით გამოწვეული გაუფასურებით.

13.22 დაზღვეული ავტოსატრანსპორტის პროფილაქტიკური / ტექნიკური / საგარანტიო მომსახურების, საკეტების გამოცვლის / შეკეთების, გასაღების/სანომრე ნიშნის მოპარვის / დაკარგვის ხარჯები.

13.23 დაზღვევამდე არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გაწეული ხარჯები.

13.24 ზარალი, გამოწვეულია ცვეთით, კოროზიით, ჟანგით, ქარხნული წუნით ან დეფექტური მასალების / ნაწილების გამოყენებით.

13.25 ზიანი მიყენებულია ცხოველის ან ფრინველის მიერ, გარდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად გამოწვეული ზარალისა.

13.26 დაზღვევის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გაწეული შეკეთების ხარჯები.

13.27 ნებისმიერი ტიპის ადმინისტრაციული ან სხვა სახის ჯარიმა. მათ შორის, საჯარიმო სადგომზე გადაყვანისა და დაყოვნების ხარჯ(ებ)ი მიუღებელი შემოსავალი, მორალური ზიანი ან/და ავტოსატრანსპორტის დაქირავების ხარჯ(ებ)ი.

13.28 დამზღვევმა/მოსარგებლემ ან უფლებამოსილმა მძღოლმა უარი განაცხადა მზღვეველის წარმომადგენლის მონაწილეობაზე სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევი მიზეზების, მიყენებული ზიანის მოცულობისა და სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული სხვა სახის ინფორმაციის/დოკუმენტაციის მოკვლევა/მოძიებაზე. მათ შორის, არ მისცა მზღვეველის წარმომადგენელს / დამოუკიდებელ ექსპერტიზას უფლება / შეუზღუდავი წვდომა დაზღვეულ ავტოსატრანსპორტზე შესაბამისი მოწყობილობების მონაცემთა ჩამწერიდან (Crash Data Retrieval / Event Data Recorder) ან სხვა მსგავსი მოწყობილობა(ებ)იდან, სადაზღვევო შემთხვევის გარემოების დადგენისა და ანალიზისთვის მზღვეველისთვის საჭირო ინფორმაციის მისაღებად.

13.29 დამზღვევმა/მოსარგებლემ ან უფლებამოსილმა მძღოლმა არ დაარეგისტრირა შემთხვევა საპატრულო პოლიციაში (გარდა მზღვეველის მიერ მითითებული შემთხვევებისა).

13.30 დამზღვევმა/მოსარგებლემ ან უფლებამოსილმა მძღოლმა არ შეასრულა მასზე წინამდებარე ხელშეკრულებით და სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული ვალდებულებები.

13.31 მზღვეველის / საპატრულო პოლიციის მითითების გარეშე ავტოტრანსპორტი გადაადგილებულია ან დამზღვევს/მოსარგებლეს/უფლებამოსილ მძღოლს მიტოვებული აქვს შემთხვევის ადგილი.

13.32 დადგა ზიანი, რომელიც რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია გამოწვეულია საომარი მოქმედებით, მიუხედავად იმისა ომი გამოცხადებულია თუ არა, სამოქალაქო ომით, მასობრივი არეულობით, ჯგუფური ძალადობით, აჯანყებით, რევოლუციით, დიქტატორული რეჟიმით, საგანგებო მდგომარეობით, გაფიცვით, სამოქალაქო მღელვარებით, ტერორისტული აქტით ან მისი ნებისმიერი გამოვლინებით, ასევე ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ით (დაზღვეული ფორს-მაჟორული რისკების გარდა) ან/და თუ შემთხვევა მოჰყვა ასეთ გარემოებებს.

13.33 ზიანი, რომელიც გამოწვეულია იონიზირებული რადიაციით, ბირთვული ან სხვა სახის მავნე ნარჩენებიდან მიღებული დაბინძურებით, რადიოაქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადი ან სხვა სახის საშიში ნივთიერებების ტრანსპორტირებით.

13.34 შემთხვევის შედეგად დაზიანდა ისეთი ქონება, რომელიც გადაიზიდებოდა დაზღვეული ავტოტრანსპორტით/მასზე მიმავრებული ნებისმიერი სახის მისაზმელით.

13.35 დამზღვევის/მოსარგებლის ან უფლებამოსილი მძღოლის საკუთრებაში / დროებით მინდობილ საკუთრებაში შესანახად, სამეთვალყურეოდ ან სამართავად მიბარებულია ქონება.

13.36 დამზღვევმა/მოსარგებლემ სადაზღვევო პერიოდში მზღვეველს არ წარუდგინა ინფორმაცია ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის პირობების/ტექნიკური დოკუმენტაციის ცვლილების, გასხვისების, დაყადაღების შესახებ, ამგვარი ცვლილებიდან არაუგვიანეს **2 (ორი)** სამუშაო დღისა.

13.38 ორმაგი დაზღვევის არსებობისას, დამზღვევმა წერილობით არ მიაწოდა მზღვეველს ინფორმაცია ამგვარის შესახებ და ადგილი აქვს სადაზღვევო შემთხვევით გათვალისწინებული ანაზღაურების სრულად მიღების მცდელობას.

13.39 დამზღვევის/მოსარგებლემ ან უფლებამოსილი მძღოლი უარს აცხადებს ზიანზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე/სუბროგაციული მოთხოვნის უფლების მზღვეველისთვის გადაცემაზე, ან დამზღვევის/მოსარგებლის უფლებამოსილი მძღოლის ქმედება ხელს უშლის მზღვეველს დაიკმაყოფილოს სუბროგაციული მოთხოვნა. ამასთან, თუ ასეთ შემთხვევაში მზღვეველს უკვე გაცემული აქვს სადაზღვევო ანაზღაურება, დამზღვევი ვალდებულია მზღვეველის მიმართვიდან **5 (ხუთი)** კალენდარული დღის ვადაში სრულად დაუბრუნოს მას მიღებული ანაზღაურება.

13.40 ზიანი გამოწვეულია დამზღვევის/მოსარგებლის ან უფლებამოსილი მძღოლის წინასწარ განზრახული ქმედებით, უხეში გაუფრთხილებლობით ან ამგვარის მცდელობით. წინამდებარე დაზღვევის ხელშეკრულებით უხეშ გაუფრთხილებლობად მიიჩნევა: უფლებამოსილი მძღოლის მიერ ავტოტრანსპორტის მართვა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე დაშვებული ზღვრული სიჩქარის **30 კმ/სთ** - ით ან მეტით გადაჭარბება, შუქნიშნის ამკრძალავი ნიშნის დაუმორჩილებლობა, ამკრძალავი საგზაო ნიშნების დაუმორჩილებლობა, უფლებამოსილი მძღოლის გადაადგილება/მოზრუნება საპირისპირო მოძრაობის ზოლში (გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს გამოწვეული იყო მესამე პირ(ებ)ის სიცოცხლის/ქონების გადარჩენის მცდელობით), საზოგადოებრივი ტრანსპორტის, სახანძრო და სხვა სპეციალური დანიშნულების ტრანსპორტისთვის გზის არ დათმობა, მოძრაობის წესების ან/და სხვა საგზაო უსაფრთხოების ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევა.

13.41 დადგა ზიანი რომელიც არ ექვემდებარება ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული სხვა შემთხვევებით.

14. სადაზღვევო პრემიის გადახდის წესი და გადახდის წესების დარღვევა

სადაზღვევო პრემიის ოდენობა და გადახდის გრაფიკი განისაზღვრება შესაბამისი სადაზღვევო პოლისით.

14.1. სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული პირველი ან ერთჯერადი პრემიის გადახდა ხორციელდება დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებისას. ამ ვადის გასვლისას პრემიის გადაუხდელობის შემთხვევაში, პოლისი ჩაითვლება ძალადაკარგულად მისი გაცემის მომენტიდან და გაუქმდება მომდევნო თვის პირველ რიცხვში, დამზღვევისთვის შეტყობინების გაგზავნის გარეშე.

14.2 სადაზღვევო პოლისის გრაფიკით განსაზღვრული პრემიის გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

14.3 სადაზღვევო პრემიის განვადებით გადახდის შემთხვევაში, პოლისში მითითებული სადაზღვევო პრემიის გრაფიკის ყოველი მომდევნო შენატანის წესის დარღვევის შემთხვევაში, (გარდა პირველი გადახდისა) მზღვეველი უფლებამოსილია დამზღვევს დამატებით განუსაზღვროს **14 (თოთხმეტი)** კალენდარულ დღიანი ვადა. ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, მზღვეველი არ ანაზღაურებს დამდგარ ზარალს, ხოლო სადაზღვევო პოლისში მითითებული გადახდის გრაფიკის დარღვევიდან **28 - ე (ოცდამეორე)** დღეს მზღვეველი ცალმხრივად შეწყვეტს სადაზღვევო პოლისს.

14.4 სადაზღვევო პრემიის განვადებით გადახდის შემთხვევაში, სადაზღვევო პრემიის გრაფიკის ყოველი მომდევნო შენატანის წესის დარღვევის შემთხვევაში, დამზღვევი/მოსარგებლე ვერ შეძლებს დამატებითი მომსახურებ(ებ)ით სარგებლობას.

14.5 მზღვეველის ინიციატივით სადაზღვევო პრემიის ვადაგადაცილების გამო პოლისის / ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს დამზღვევს სადაზღვევო პრემიის გადახდისგან, წინამდებარე პირობების შესაბამისად.

14.6 დაზღვევის ხელშეკრულება (ასევე, დაზღვევა) ძალაში შედის ამავე ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული სადაზღვევო პოლისის გაცემის დღის 24:00 საათზე, იმ პირობით რომ ამავდროულად განხორციელებული იქნება პოლისით განსაზღვრული სადაზღვევო პრემიის პირველი შენატანი. მოქმედების ვადა სრულდება პოლისში მითითებული ვადის ბოლო დღის 24:00 საათზე.

14.7 დამზღვევი ვალდებულია სრულად და დროულად გადაიხადოს სადაზღვევო პოლისის გრაფიკით განსაზღვრული პირველი ან ერთჯერადი ტრანში. გრაფიკით განსაზღვრული პირველი ტრანშის გადახდამდე მზღვეველი არ გასცემს სადაზღვევო ანაზღაურებას.

15. დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტა / გაუქმება

დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს/გაუქმდეს:

15.1. დამზღვევის ინიციატივით წინასწარი **3 (სამი)** დღიანი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. შესაბამისი შეტყობინების მზღვეველისთვის წარმოდგენისთანავე, წყდება მზღვეველის ვალდებულება ანაზღაუროს წერილობითი შეტყობინების წარმოდგენიდან სადაზღვევო ხელშეკრულების შეწყვეტის პროცედურის დასრულებამდე დამდგარი შემთხვევები, თუნდაც სადაზღვევო ხელშეკრულება ითვალისწინებდეს ამგვარი შემთხვევის ანაზღაურების პირობას. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ სადაზღვევო პოლისზე, რომლის გაუქმებაც მოითხოვება, არ არის გაცემული სადაზღვევო ანაზღაურება, დამზღვევის ვალდებულება შემოიფარგლება გაუქმების თარიღისთვის გამოიმუშავებული პრემიის და დამატებით **30 (ოცდაათი)** კალენდარული დღის შესაბამისი პრემიის გადახდით. სხვა ყველა შემთხვევაში დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო პოლისის გრაფიკით განსაზღვრული წლიური პრემია სრულად.

15.2 მზღვეველის ინიციატივით ნებისმიერ დროს:

15.2.1 დამზღვევისთვის ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე შეტყობინების 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნის გზით. ამ შემთხვევაში მზღვეველი ვალდებულია გაუქმების დღის მდგომარეობით დაითვალოს პრემიის ოდენობა და დაუბრუნოს გამოუმუშავებელი პრემიის შესაბამისი ოდენობა.

15.2.2 დამზღვევისთვის ხელშეკრულების გაუქმებაზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით, თუ გამოვლინდება, რომ დამზღვევის / მოსარგებლის ან უფლებამოსილი მძღოლის მიერ მოწოდებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია არის არასწორი, არასრული, ყალბი ან შეცდომაში შემყვანი.

15.2.3 იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ დაზღვეული ავტოტრანსპორტი განადგურებულია არასადაზღვევო შემთხვევის შედეგად.

15.2.4 იმ შემთხვევაში, თუ ავტოტრანსპორტი სრულად განადგურდა სადაზღვევო შემთხვევის შედეგად.

15.2.5 იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული ანაზღაურების ჯამური ლიმიტი სექციების შესაბამისად ამოწურულია.

15.2.6 იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო პოლისის გადახდის წესის დარღვევა აღემატება 27 (ოცდაშვიდი) კალენდარულ დღეს.

15.2.7 15.2.2 – 15.2.6 საფუძვლების არსებობის შემთხვევაში გაუქმება განხორციელდება დაუყოვნებლივ. იმ შემთხვევაში თუ სადაზღვევო პოლისზე, რომლის გაუქმებაც მოითხოვება, არ არის გაცემული სადაზღვევო ანაზღაურება, დამზღვევის ვალდებულება შემოიფარგლება გაუქმების თარიღისთვის გამომუშავებული პრემიის გადახდით. სხვა ყველა შემთხვევაში დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო პოლისის გრაფიკით განსაზღვრული წლიური პრემია სრულად.

15.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16. დავის განხილვის წესი

16.1 მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

16.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17. დასკვნითი დებულებები

17.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია, „დაზღვევის ხელშეკრულებაზე“ (მის ყველა შემადგენელ ნაწილზე ან დამატებით შეთანხმებაზე) ხელმოწერა განახორციელოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ვალიდური კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის საშუალების (მათ შორის Signify-ის) ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის გამოყენების გზით;

17.2 მიუხედავად ზემოაღნიშნული ფორმით დოკუმენტის დამოწმებისა, მზღვეველი უფლებამოსილია, დამზღვევს მოსთხოვოს მატერიალური ფორმით დამოწმებული დოკუმენტაციის ორიგინალი ეგზემპლარის მიწოდება.

17.3 მზღვეველი კომუნიკაციისთვის იყენებს დამზღვევის მიერ განაცხადში / პოლისში მითითებულ ტელეფონის ნომერს / ელექტრონული ფოსტის მისამართს.

17.4 მზღვეველი ასევე იყენებს, დამზღვევის მიერ განაცხადში / პოლისში მითითებულ ფაქტობრივ საცხოვრებელ მისამართს შეტყობინების ფოსტის მეშვეობით გაგზავნისთვის.

17.5 შეტყობინების მიღების დღედ ითვლება, დამზღვევის ტელეფონის ნომერზე / ელექტრონული ფოსტის მისამართზე შეტყობინების გაგზავნის დღე.

17.6 დამზღვევისა და მზღვეველის მიერ ერთმანეთისთვის მიწოდებული ყველა ინფორმაცია (მიუხედავად მისი ზეპირი, თუ წერილობითი ფორმისა), რომელიც წარმოადგენს კომერციულ ან სხვა სახის ფასეულობას, ითვლება კონფიდენციალურად და წინასწარი შეთანხმების გარეშე არ შეიძლება

გადაეცეს მესამე პირებს, თუ ეს დაკავშირებული არ არის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებასთან ან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

18. დამატებითი მომსახურება

18.1 თუ სადაზღვევო პოლისი ითვალისწინებს მომსახურებას „სერვისი +“, დამზღვევი / უფლებამოსილი მძღოლი სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ისარგებლებს შემდეგი მომსახურებით 24 (ოცდაოთხი) საათის განმავლობაში ერთხელ :

- **ევაკუატორის მომსახურება** - თუ ავტოტრანსპორტი თავისი სვლით ვერ გადაადგილდება და მისი ნებადართული მასა არ აღემატება **3.5 ტონას**. მომსახურება მოქმედებს თბილისის მასშტაბით სრულად, საქართველოს რეგიონებში კი ევაკუატორით გადაყვანა გათვალისწინებულია უახლოეს რეგიონალურ ცენტრამდე.
- **ავტოტრანსპორტის დაქოქვა** - მომსახურება მოქმედებს თბილისსა და მის შემოგარენში, წინასწარ განსაზღვრული სიის მიხედვით.
- **საწვავის მიტანის სერვისი** - მომსახურება მოქმედებს თბილისსა და მის შემოგარენში, წინასწარ განსაზღვრული სიის მიხედვით. საწვავის ღირებულებას იხდის დაზღვეული.
- **საბურავის დაბერვა / ჩანაცვლება** - მომსახურება მოქმედებს თბილისსა და მის შემოგარენში, წინასწარ განსაზღვრული სიის მიხედვით. ჩანაცვლების სერვისით სარგებლობისთვის დაზღვეულს უნდა ჰქონდეს სათანადო საბურავი.

18.2 თუ სადაზღვევო პოლისი ითვალისწინებს მომსახურებას „მძღოლის მომსახურება“, დამზღვევი/ უფლებამოსილი მძღოლი, სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ისარგებლებს შემდეგი მომსახურებით წელიწადში 12-ჯერ, არაუმეტეს თვეში 1 (ერთი) მომსახურებისა:

- **მძღოლის მომსახურება** - მომსახურება მოქმედებს თბილისსა და მის შემოგარენში, წინასწარ განსაზღვრული სიის მიხედვით. მომსახურების მიღება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული ავტოტრანსპორტი გამართულ მდგომარეობაშია, მაგრამ დამზღვევს / დაზღვეულს / მოსარგებლეს ან უფლებამოსილ მძღოლს არ შეუძლია მისი მართვა. გამოძახებული მძღოლი უზრუნველყოფს დაზღვეულის ტრანსპორტირებას თავისივე ავტოტრანსპორტით, წინასწარ დასახელებულ ერთ მისამართზე.
- თბილისის შემოგარენის წინასწარ განსაზღვრული სია იხილეთ **ბმული**: